1934 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვი



ალმანახი
5–6

მუშათა საძმისათვის იყავ მზად!

„პიონერი“

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი ბავშვთათვის.

№5-6

მაისი—ივნისი

1934

ფასი IX

ფასი IX

რედაქციის მისამართი: აღმასკომის ჯუჩა, № 7. სახელგამი, საბავშო და ახალგაზრდობის სექტორი

შინაარსი

1. 1-ლი მაისი, — ა. კ. რეხვიაშვილისა 1
2. მაისი, — გ. კაჭახიძისა 2
3. საბჭოთა სასახლე, — შ. თაბ—ლისა 3
4. გმირი ბავშვი, — მ. ებრალიძისა 4
5. მერცხალი მოფრინდა, — გ. კაჭახიძისა 6
6. მეტროპოლიტენი, — შ. თ—ისა 6
7. აიშე, — პ. ლორიისი 7
8. მაისი, — არნო ონელისა 11
9. გმირული გამარჯვება 12
10. შვიდ გმირს, — პ. თამარიშვილისა 13
11. 7 კილომეტრის სიმაღლიდან, — ნ. ქ—ისა 13
12. ეგნატე ნინოშვილი 15
13. ზოსიმეს ოცნება, — ლ. საქარელისა 16
14. ძია შიოს, — ც. ბუქურაულისა 18
15. საგაზაფხულო ლექსი, — გ. კალანდაძისა 19
16. გამოცანა, — კ. თევზაძისა 19
17. სანდრო ეული 20
18. ირ. აბაშიძის სალამო, — ლ. ჭიჭინაძისა 21
19. პატარა მასწავლებელი, — ლ. ხვიჩიასი 22
20. სამაისო, — პ. თამარიშვილისა 24
21. ასოთამწყობი, — ნ. ნაკაშიძისა 24
22. რებუსები, — ილ. გოგიასი . . . . . ყდაზე

სახელგამის პირველი სტამბა პლ. გამზირი № 91 ტირ. 5000 მთავლ. ა 238 შეკვ. 371.

აკ. რეხვიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1759.

1886 წელს ქ. ჩიკაგოში მძიმე და აუტანელი პირობების გამო 500.000 მუშა გაიფიცა. ამერიკის ვერაგმა კაპიტალისტებმა სისხლში ჩაახრჩვეს გაფიცული პროლეტარიატი.

პარიზში 1889 წ. მოეწყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის ასი წლის იუბილე და მსოფლიო სამრეწველო გამოფენა. ამ წელს პარიზში შეიკრიბა საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი, რომელიც II ინტერნაციონალის პირველი კონგრესი შეიქნა. ამ კონგრესზე მსოფლიო მებრძოლი პროლეტარიატის სოლიდარობის გამოსახატავად და სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტთა შორის მუდმივი იდეური კავშირის გასაბმელად მიღებულ იქნა რეზოლუცია ყოველწლიურად 1 მაისის დღესასწაულობის შესახებ. ეს დღე უნდა ყოფილიყო ყოველწლიური თვალის გადავლება პროლეტარიატის ძალებისათვის, ბურჟუაზიის წინაშე მისი მზარდი მძლეობის დემონსტრაცია და გაბატონებული კლასებისათვის 8 საათის სამუშაო დღის მოთხოვნის წარდგენა, მოთხოვნა შეიარაღების შემცირებისა და მუშებისათვის პოლიტიკურ უფლებათა მინიჭებისა იმ ქვეყნებში, სადაც ეს ჯერ კიდევ არ იყო მოპოებული.

პირველი მაისი მუშათა კლასის შვილებს ასალკლდევებს, ამტკიცებს და აღვივებს მათში კაპიტალიზმისადმი ზიზღის დაუშრეტელ ცეცხლს. პირველი მაისი მსოფლიო მუშებისა და მშრომელი გლეხობის რევოლუციური ძალების დათვალიერებისა და განმტკიცების ძლევამოსილი დღეა. ამიტომ არის, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუები 1 მაისისთვის ყოველწლიურად ამზადებენ იარაღს, ტყვიებს, დამრბევ რაზმებს და სხვა საშინელებას, რითაც კი მოახერხებენ მშრომელ მასებზე სისხლიან გათარეშებას. ახლა არ არსებობს მსოფლიოს არც ერთი კუთხე, სადაც პირველი მაისის დღესასწაულისთვის არ ემზადებოდენ მუშები და მშრომელი გლეხები. ერთადერთი ქვეყანა, თავისუფლების ქვეყანა მხოლოდ საბჭოთა კავშირია, სადაც მშრომელთა მილიონები 1 მაისის დღესასწაულის დღეს გამოდიან ქუჩებში საამაყო გამარჯვებებით, თავისუფალი რევოლუციური სიმღერებით და ამცნობენ მსოფლიოს იმ უდიდეს ძლიერებას, რომელიც საბჭოეთს გააჩნია. პირველ მაისს საბჭოთა კავშირის მშრომელები კიდევ უფრო ამტკიცებენ კლასურ სიყვარულს უცხოეთის კაპიტალისტური ქვეყნების მუშებისადმი, უზიარებენ მათ თავიანთ რევოლუციურ გამოცდილებას და ნერგავენ მათში გამარჯვების ურყევ იმედს. წელს 43 ჯერ ქუჩებში საბრძოლო ლოზუნგებით გამოსული უცხოეთის კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატი 43 ჯერ თავზარს დასცემს სისხლისმსმელ კაპიტალისტებს. მუშებთან ერთად გამოვლენ მათი ბავშვები და, ვინ იცის, რა საზიზღარი წამებით უპასუხებენ მათ კაპიტალისტების დამქაშები! მრავალი მებრძოლის სისხლი დაიღვრება ამ დღეს უცხოეთში. მრავალი დედა ატირდება დაკარგულ ქმარზე და მრავალი ბავშვი დაობლებული აღმოჩნდება შიმშილის, სიცივისა და უპატრონობის მძიმე განსაცდელში. აქ კი, ჩვენთან, მუშებისა და გლეხების ძლევამოსილ ქვეყანაში, მუშებთან ერთად საპირველმაისო დღესასწაულს ზეიმით ხვდებიან მშრომელი დედებიც და მილიონიან ბავშვთა ჯანსაღი მასები. სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბნებზე გამარჯვებული პიონერები მხიარული სიმღერე-

ბით, მწყობრი რიგებით და სიხარულია, აახ-
გაბრწყინვებულნი გამოდიან ქუჩებში და დღე-
სასწაულობენ საპირველმაისო ზეიმს. საბჭოთა
კავშირის პიონერები ამ დღეს ძმურ კლასურ
ხელს უწოდებენ უცხოეთის მშრომელთა ბავ-
შვებს და ასწავლიან მათ, თუ როგორ უნდა
წარმართონ მუშაობა სისხლისმსმელი ბურჟუ-
ების მოსასპობად და თავისუფალი ცხოვრების
მოსაპოებლად. ამხანაგმა პიონერებმა უკვე
იციან, რა საშინელ ტანჯვა-ვაებაში იმყოფე-
ბიან უცხოელი ბავშვები, მაგრამ ისიც იციან,
რომ მათი განთავისუფლების დროც ახლოვ-
დება.

ბევრიც რომ ეცადონ ბურჟუები მუშებში
რევოლუციური ენთუზიაზმის ჩაკვლას, მაინც
მიზანს ვერ მიაღწევენ. მუშათა კლასი მთელს
მსოფლიოში სწავლობს ბრძოლებისა და გა-
მარჯვებების იმ გზებს, რომელიც საბჭოთა
კავშირის მშრომელებმა განვლეს და საკუთა-
რი ძალღონით, საკუთარი სისხლით შექმნეს
მუშურ-გლეხური, სოციალიზმის მშენებელი
უძლეველი ქვეყანა. დიდი ლენინის უძლევე-
ლი დროშით და საყვარელი ბელადის ამხ.
სტალინის მეთაურობით კომუნისტური პარტია
მსოფლიო მუშათა კლასს უკაფავს გზას სო-
ციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ. 1 მა-
ისი სოციალიზმის გამარჯვებისათვის თავგან-
წირული ბრძოლის დღეა, რომელსაც სწორედ
ამ ბრძოლით ეგებებიან მსოფლიო მშრომელ-
თა მილიონები.

საბჭოთა კავშირის პიონერებმა, კერძოდ კი
საქართველოს სახელოვანმა პიონერებმა, 1 მა-
ისი უნდა აღინიშნონ კიდევ მეტი ბრძოლით
სწავლების მაღალი ხარისხისათვის, შეგნებუ-
ლი დისციპლინის სკოლაში და სკოლის გარეთ
განმტკიცებისათვის, ინტერნაციონალური მუ-
შაობის გაშლისა და უცხოეთის პიონერებთან
მჭიდრო კავშირის დაჭერისათვის, საზოგადო-
ებრივი ქონების დაცვისათვის, მოსავლიანობის
გადიდებისათვის, კლასური სიფხიზლის კიდევ
მეტი გამახვილებისათვის და სხვა, რომ გამო-
იჭედონ სოციალიზმის მთელ მსოფლიოში გა-
მარჯვებისათვის თავდადებული გმირები.

გაუმარჯოს კომუნიზმის დამყარებას მთელს
მსოფლიოში!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საყვარელ მასწავლებელს და
უდიდეს ბელადს ამხ. სტალინს!

გიორგი კაჭახიძე

მ ა ი ს ი

საზეიმოდ მორთულ ქალაქს
მზე დაჰხარის,
ბრწყინავს ზეცა.
მხოლოდ მთაზე ობოლ ღრუბელს
ქაღალდივით სიო კეცავს.
თვითმფრინავებს ჩიტებივით
გაუშლიათ ფრთები მაღლა,
ხმაურობენ,
და ქალაქსაც
ახმაურებს ხალხის ტალღა.
დღეს საყვირი არ ყოფილა,
არ ასველებს ორთქლი ქარხნებს.
დუმს დაზგები...
მუშაქალიც
მაქოსათვის ძაფს არ ახვევს.
ის ჩვენ ახლო ქუჩაშია,
ხელში გაზეთს ათამაშებს,
ვაჟკაცივით დგას და ხშირად
შემოგვხედავს ტკბილად ბავშვებს.
გვეტყვის რამეს, გაგვიღიმებს:
ჩვენთან არის მისი გივი,
ვისაც საქმით დღემდის ბქენს
მთელი სკოლის კოლექტივი.
მაისია... სიცხოველე
მთაწმინდიდან მოაქვს ნიავს...
მღერის გუნდი,
და სიხარულს
ზეიმი და წინსვლა ჰქვია.
ისმის მარში, ისმის „ვაშა“,
მისდევს რიგი წინა რიგებს.
ჩვენც მივდივართ სწორედ ისე,
როგორც ჯგუფში დაგვარიგეს.
ირგვლივ მოჩანს დროშების ტყე,
ტყე, რომელშიც
სუნთქვა გვიყვარს.
დგას ტრიბუნა მოედანზე
და მთავრობა ამბობს სიტყვას.
აზრის მქონე პლაკატები

ამეტყველებს ყველგან ციფრებს,
მიღწევებმა რომ წარმოშვეს
და უეცრად რომ გვაცვიფრებს.
მოდის რიგი,
მოსდევს რიგი,
უსაზღვროა ხალხის დენა.

დიდი არის სიხარული,
დიდი არის აღმაფრენა.
აი მასის გამარჯვება,
გაზაფხულიც გვიღებს კარებს...
დღეს ქუჩებში ვიზეიმებთ,
ხვალ გავივლით ქალაქგარეთ.

შ. თაბ — ლი.

საბჭოთა სასახლე

შენობები ლაპარაკობენ. მაგრამ ყველას როდი ესმის მათი ენა.

სახლები, შენობები ადამიანებზე მეტ ხანს ძლებენ, ისინი საუკუნოებით „ცოცხლობენ".

ჩვენამდის მოაღწია ეგვიპტეს პირამიდებმა — მეფეების მძიმე, საოცარმა საფლავებმა. ჩვენამდის მოაღწია საშუალო საუკუნეების სასახლე-ციხესიმაგრეებმა თავისი მაღალი კოშკებით და დაკბილული კედლებით. ისინი თითქოს ამბობდენ: „დამემორჩილეთ! ჩამოდექით! გეშინოდესთ!"

1922 წელს საბჭოთა პირველმა ყრილობამ დაადგინა მოსკოვში საბჭოთა სასახლის აგება.

კონკურსი გამოცხადდა. 272 პროექტი წარადგინეს ამ კონკურსზე. სამმა პროექტმა მიიღო პრემია, მაგრამ არცერთი პროექტი არ მიიღეს. გავიდა $1^1/_2$ წელიწადი. შეუპოვარი შრომით გააუმჯობესა თავისი პროექტი (ერთი იმ სამთაგანი, რომელთაც პრემია ერგოთ) საბჭოთა არქიტექტორმა იოფანმა, და პროექტი მიიღეს.

მდინარე მოსკოვის ნაპირას, საბჭოთა სასახლის მოედანზე, პირით კრემლისაკენ აიგება ეს სასახლე — კოშკი. ზევით იქნება ლენინის ქანდაკება — 50-75 მეტრის სიმაღლე.

საბჭოთა სასახლე სულ შეუცვლის სახეს მოსკოვის ცენტრს. უკვე დაწყებულია იმ ქუჩების ხელახალი დაგეგმვა, რომელნიც საბჭოთა სასახლის მოედანს ემიჯნებიან.

მოედანზე აიღებენ ტრამვაის ლიანდაგს, ფართო პროსპექტები დააკავშირებს სასახლეს მუშათა რაიონებთან. ამ პროსპექტებით წამოვლენ სასახლისკენ ასიათასობით დემონსტრანტები.



შენობის მთავარი ნაწილია უზარმაზარი მრგვალი დარბაზი, სამიარუსიანი, რომელიც 20 ათას კაცს დაიტევს. ის იქნება საზეიმო სხდომებისთვის, რევოლუციური დღესასწაულებისთვის, ოლიმპიადებისთვის.

დიდი დარბაზის შემდეგ იქნება მცირე დარბაზი — 5 ათასი კაცისთვის. აქ იმუშავებენ საბჭოები.

დიდი დარბაზის თავზე იქნება ოქტომბრის პანორამა. რგოლისებური აივნიდან, 150 მეტრის სიმაღლიდან, მაყურებელს შესანიშნავი სანახაობა გადაეშლება თვალწინ, მოსკოვი იქნება ყოველ მხარეს გადაშლილი.

სასახლის სიმაღლე 220 მეტრს უდრის.

მთელი მსოფლიოს მაღალ შენობებში ის ჩამოუვარდება სიმაღლით მხოლოდ ეიფელის კოშკს (300 მეტრი) და ნიუიორკის სამ ცალმბჯენს.

სასახლის მოცულობა $3^1/_2$ მილიონი კუბური მეტრია. ეს არის, დაახლოვებით, ერთად აღებული 35.000 დიდი ოთახი!

იოფანის პროექტს კიდევ გააუმჯობესებენ თვითონ იოფანი და მისი ამხანაგები. საბჭოთა სასახლეს არქიტექტორების კოლექტივი გაეკეთებს.

სასახლე — კოშკი, ზევითკენ ამაყად ატყორცნილი, — ხალისიანი, მედგარი შენობაა, რომელიც თითქოს გაბედულად, ამაყად გაიძახის „წინ!"

ასეთი იქნება საბჭოთა სასახლე — ჩვენი დროის შესანიშნავი ძეგლი.

მ. ეგრალიძე.

გმირი ბავშვი

I

გაგიგონიათ, ალბათ, ამბები
კაციყლაპია ცხრათავა დევზე.
ბებიას უთქვამს წინათ ზღაპრები
ღმერთზე, ნადირზე და ალქაჯებზე.

ჩემი მოთხრობა არც ზღაპარია
და არც ამბავი ბებიას თქმული,
ვიწყებ პოემას გმირ მოროზოვზე,
ვისაც მტრის მიერ გაეპო გული.
ქოხი დატოვა პატარა პავლემ,
პურის მოსავალს სჭირდება შველა.
ხვალ მთელი რაზმით ველებზე გავლენ,
აგუგუნდება მათი სიმღერა.
ღამე გატეხა წუხელი მინდვრად,
დარაჯად უდგა პურის კალოებს, —
როცა მოსავალს მტრის თვალი უცქერს,
პავლე ველს ამ დროს როგორ დატოვებს.
დღეს სუფთა დილა გათენდა ისევ,
პურის ყანები მზის სხივზე ბზინავს.
ველზე გასული პავლეს ბრიგადა
მწიფე თავთავის კალოებს ზვინავს.
მათი სიმღერა ახარებს გლეხებს,
იმათ წიგნებს რომ ხედავენ ჩრდილში.
როცა შუადღის თაკარა მზეა,
კითხულობს გაზეთს თვალჭროლა ბიჭი.
დგას პავლე დინჯად და განმარტებებს
ამატებს აქვე წაკითხულ ამბებს,
სასიყვარულო თმაქერა ბიჭი
ყოველი გლეხის გულს დააამებს;
რაზმში პირველი პიონერია,
სამაგალითო ყველა ბავშვების,
მას უყვარს რაზმი, სკოლა და წიგნი,
უყვარს შრომა და ამხანაგები.

II

უკვე სიმღერა ისმის ველიდან,
პიონერული გუგუნებს მარში,
დანაკარგებთან ბრძოლას აჩაღებს
პავლეს ბრიგადა და პავლეს რაზმი.
— ოქროსფერო ყანაო,
მოგკრეფთ, ძოგეშველებით,
არ დავკარგავთ ერთ მარცვალსაც
ნორჩი პიონერები.
დღეს ბიბინებ, ხვალისთვის
გნახავთ ნამჯად დატოვილს,
თავთავს დაახასხასებს
მოგუგუნე მოტორი.
ასე მღერიან მარჯვე ბიჭები,
მოწინავეა რაზმი პავლესი.
შეხედავს გლეხი ბავშვების გარჯას,
უჩნდება გულში მათი ალერსი.
მიდის შრომის დღე ხალისიანად,
ირხევა ველზე საღამოს ჩრდილი,
და ათების ძიღმა იცინის მოოცხვად
დღის სითბოება, — მზე შუქმიხდილი,
ჩამობნელდება, და შორს ბთებიდან
ჩამოუქროლებს ველ-მინდვრებს ქარი,
ისძის სიმღეოა შაოაგზებიდახ:
კოლექტიველთა მოდის ლაშქარი.
ტოვებენ ბინდვრებს და უკან რჩება
კოლძეურნეთა მკლავის სიმარჯვე,
ოქროს თავთავის გორა დაუდგამს
გაძრჯე და მამაც გლეხების მარჯვენს.
ისმის სიმღერა, სანამ თეთრ ქოხებს
დაუბრუნდება ბავშვი თუ კაცი...
ღრუბლებს გადაღმა ივახშმებს მთავარე
და შემდეგ ისევ სიბნელეს გაცრის.
სოფლის ბოლოზე გზაჯვარედინთან
ემშვიდობება მეგობრებს პავლე,
მიდის იქ, სადაც ცივი გულები
მრისხანე სახით უბღვერენ თვალებს.
სადაც ბაბუა ზის მოტეხილი,
გაფითრებული და დაღვრემილი,
შეაჩერდება მჭვარტლიან კედლებს,
კედლიდან მოჩანს სახე ლენინის.
შეიშმუშნება და მოგონების
გადაეშლება ვრცელი ფურცლები:
როცა სოფელი იცნობდა მას და
ედგა სოფელზე რკინის ქუსლები.
დილით საყდრის წინ რეკდენ ზარები,
იყო მოხუცი ღმერთის მსახური,
იყო ქება და იყო სიმდიდრე,
იყო ცხოვრება რა საამური!
წავიდა, გაქრა ეს სურათები
და აგონდება მას შარშახდელი:
როცა იშოვა ექვსი მორწმუნე
და საყდრისათვის მზად ჰყავდა მღვდელი.
დარჩა ბავშვების სამასხარაოდ
(პატარა ავალემ აშკარად უძტრო),
საყდარი იყო კვლავ დაკეტილი,
ბაბუასათვის პავლე კი უდო.
თვლემდა ძოხუცი და ძოგონების
დაულევ ფურცლებს თვლემაში შლიდა,
გაძოაფხიზლა კარის ჭრიალმა,
როდესაც ქოხი დატოვა შვილმა.
ეზოში ეოთხელ დაყეფა მურამ,
პავლე იცნო და ისევ დაჩუმდა.
შეძოხვდა მამა. — „ღამე სად მიხვალ?“
მამა კი ისევ გაშორდა... დუმდა.
მოვიდა პავლე, მაგრამ ამ ქოხში
მან ვინ მონახოს თავის საგულო?
ბაბუა არის, ბებიაცა ჰყავს,
მაგრამ პირქუში და უსულგულო.

ბაბუა

— სად დადიხარ, სახლს რომ არ ეკარები!
ცისმარ დილას დაგვტოვებ და — მშვიდობით!
შინ დაეგდე და ცხეხებს მოუარე,
გეუბნები, ათასწილად გიჯობნის.
მეც ვიყავი შენებრ ნორჩი, პატარა.
სხვა დრო იყო, ჰოი, რა დრო, ოქროსი...
იყო ყოფა სახალისო, მზიანი,
და იცოდენ უმცროსი და უფროსი.

პავლე

ვერ მომხიბლავ თბილი სიტყვის ალერსით,
შენი გული ლოდის ქვაა, ცივია,
რად იგოხებ ფუქსავატურ ბავშვობას,
შენს სიტყვებში ტყუილები ჭვივიან.
ვსწავლობთ, ვშრომობთ, დიდებს მხარში ვუ-
დგივართ,
შრომის შემდეგ დავისვენებთ, ვიმღერებთ.
შენი სიტყვა მტრის სიტყვაა, მრუდეა,
პიონერი შენ როგორ დაგიჯერებს?!
ბევრი გყავდათ მოროზოვებს მონები,
მათთვის ყოფა იყო დღე ღრუბლიანი,
მოიგონე მებატონე სწორები,
რომ წალეკა ოქტომბერმა ზრიალით.
(გაგრძელება იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე.

შრიალებენ ალუჩები,
გადავურჩით ოხერ ზამთარს.
ფხიზელი ხბო მწვანე მოლზე
ილიმება და დოლს მართავს.
დადის ფისო,
და კნუტებიც
დაარხევენ ლამაზ კუდებს,
ჭერს მერცხალმა ჩაუქროლა
და მონახა იქვე ბუდე.
ის მოფრინდა სწორედ გუშინ,
იჭიკჭიკა ხეზე დიდხანს,
შემდეგ ტკბილად ცხელი ქვეყნის
ამბები და საქმე გვითხრა.
არ შეცვლილა,
ისეთია,
როგორც წინათ, როგორც შარშან,
კვლავ თეთრი აქვს მკერდის ბუმბლი,
კვლავ აცვია შავი ფარჩა.
გადავურჩით ოხერ ზამთარს,
მწვანდებიან ირგლივ მთები,
და მერცხალმაც ბუდე ნახა
ადრინდელი ნაკეთები.
ლამაზებს,
ფაციფუცობს,
ალბათ, მალე ჩადებს კვერცხებს
და გამოჩეკს სიყვარულით
პაწაწინა ლამაზ მერცხლებს.
არას ვჯვნებთ,
არ დავაფრთხობთ,
არ მოვუქნევთ ჯოხს თუ სახრეს,
მას დავტუქსავთ,
ვინც შეაკრთობს,
კვერცხს გაუტეხს ან ხეზლს ახლებს.
ინავარდოს,
გაიხაროს,
აღტაცების გრძნობებს აჰყვეს,
მოვა დრო, და მადლიერი
გადააფრენს თავის ბარტყებს.

შ. თ.

მეტროპოლიტენი

რაც უფრო დიდია ქალაქი, მით უფრო მეტია მოძრაობა.

გამოითვალეს, რომ გერმანიის ქალაქ შტეტინის მცხოვრები 80-ჯერ მგზავრობს წელიწადში, მიუნხენის — 175 ჯერ, ბერლინის — 386 ჯერ, ნიუიორკის — 419. ეს იყო 1913 წელს. მაშინ მოსკოვის მცხოვრები 120 ჯერ მგზავრობდა წელიწადში.

ახლა კი მოსკოველებმა გაუსწრეს ძიუხენის, ბერლინის და ნიუიორკის მცხოვრებთ... მოსკოველი 550 ჯერ მგზავრობს წელიწადში. ის დადის სამუშაოდ, მუშაობის შემდეგ — კლუბებში, თეატრებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მუზეუმებში.

1932 წელს 2 მილიარდი ადამიანი გადაიყვანა მოსკოვის ტრამვაიმ და ავტობუსებმა. და განა ყველა მსურველი ჩაეტია, — ზოგი იძულებული იყო ფეხით წასულიყო.

სივიწროვეა მოსკოვის ცენტრალურ ქუჩებში. ტრამვაისა და ავტობუსების ახალი მარშრუტებისათვის ადგილი არ არის.

და, აი, მოსკოვის ქუჩებისა და მოედნების ქვეშ, მოსიარულეთა ფეხქვეშ, ქვაფენილის ქვეშ, წყალსადენის ქვეშ, მიწის სიღრმეში გაისმის ყრუ აფეთქებების ხმები.

ტექნიკოსებს, მუშებს, ინჟენრებს გაყავთ მოსკოვის მცხოვრებთათვის ქალაქში მგზავრობისათვის ყველაზე სწრაფი გზა, გაყავთ გზა ქალაქის ქვეშ, აშენებენ მ ე ტ რ ო პ ო ლ ი ტ ე ნ ს.

რკინაბეტონის უზარმაზარი მილები-გვირაბები წავა-წამოვა მოსკოვის სხვადასხვა მიმართულებით მილის ქვეშ და ერთმანეთთან დააკავშირებს სხვადასხვა რაიონს.

მეტროში (ასე ეძახიან შემოკლებულად მიწისქვეშა რკინისგზას — მეტროპოლიტენს) ჩასაჯდომად საჭირო არ იქნება მიწისქვეშა ჩასასვლელი. მაგრამ გგონიათ ჩასვლა-ამოსვლაზე ძალა დაგეხარჯებათ, დაიღლებით კიბეებზე სიარულით? არა, საკმაო იქნება ნაბიჯის გადადგმა, და ე ს კ ა ლ ა ტ ო რ ი, მუდამ მოძრავი კიბე ფრთხილად, ნაზად ჩაგიყვანსთ მიწის ქვეშ...

აი, უკვე ძიწის სიღრძეში ვართ. ჩვენ ზევით მოსკოვია. ვერც კი შევამჩნიეთ, რომ მიწის ქვეშ ვართ. აქ ისეთი სისუფთავეა, ნათელია, თავისუფლად ვსუნთქავთ. მძლავრი ვენტილაატორები განუწყვეტლივ აწვდიან მეტროპოლიტენს სუფთა ჰაერს.

ერთიმეორეზე მოსრიალებს ელექტრომატარებლები. ყოველ $1^1/_2$ — 2 წუთში მიდის მატარებელი.

ვიღებთ ბილეთებს. ვსხდებით. ავტომატურად იკეტება ვაგონების კარები. მატარებელი საათში 30 — 40 კილომეტრის სისწრაფით მიქრის. 5 — 8 წუთი — და ჩვენ მოსკოვის ცენტრში ვართ.

ეს იქნება ერთი წლის შემდეგ, როდესაც დასრულდება მოსკოვის მეტროს პირველი რიგის მშენებლობა — $11^1/_2$ კილომეტრზე. მას მოჰყვება მეორე და მესამე რიგის მეტრო.

5 წლის შემდეგ მიწისქვეშა გზები 80 კილომეტრის მანძილზე დაიგება მოსკოვის ქვეშ სხვადასხვა დონეზე.

მაგრამ ამ მიწისქვეშა კილომეტრებს დაპყრობა უნდა. ჩვენ გვაქვს უცხოეთის გამოცდილება — ლონდონის, პარიზის, ნიუიორკის მეტროები, მაგრამ იქ ნიადაგის პირობები სხვაგვარია, ვიდრე მოსკოვში. მოსკოვის მიწა თავის გამოცდილებასაც შეჰმატებს ევროპული მეტროპოლიტენის გამოცდილებას.

რა ხვდებათ მეტროს მშენებელთ მიწის ქვეშ? თიხა, მიწისქვეშა ღელეები, მცოცავი შლამი. ებრძვიან მშენებლები მათ, აფეთქებენ მიწას და ნაბიჯ-ნაბიჯ, მეტრობით იპყრობენ გზას მოსკოვის ქვეშ...

პ. ლოგრია

ა ი შ ე*)

გლეხები მოუთხრობდენ ჯემალს თავიანთ გაჭირვებას, აცნობდენ თავიანთ ჭირ-ვარამს და სთხოვდენ დახმარებას. ჯემალი ამხნევებდა მეზობლებს.

— ნუ გეშინიათ, რაც წინათ იყო, ის აღარ არის. ჩვენი პარტია და ხელისუფლება, რომელიც მუშებისა და გლეხებისაგან შედგება, მალე მოაწყობს ყველაფერს. თქვენ მხარში უნდა ამოუდგეთ მას და თქვენი დახმარებით ყველაფერს გავაკეთებთ, — ეუბნებოდა ის და უხსნიდა იმ ამოცანებს, რომლებიც დასახული ჰქონდა პარტიასა და ხელისუფლებას ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

ასევე იქცეოდა თინაც, მის გარშემო შემოკრებილ ქალებში საუბრობდა როგორც სწავლის, ექიმობისა და სხვა საკითხების მნიშვნე-

*) იხილეთ ჟურ. „პიონერი“ № 4.

ლობის შესახებ, ისე ოჯახურ ცხოვრებაზეც, სისუფთავეზე, ბავშვების მოვლაზე, მშობიარობაზე და სხვადასხვა სნეულების მავნებლობაზეც.

არც აიშე ყოფილა უსაქმოდ. პირველად, მართალია, იუცხოვა უსუფთაოდ ჩაცმულ, ხელ-ფეხდაუბანელ ბავშვებთან დაახლოვება, მაგრამ მალე შეეჩვია და დაუმეგობრდა მათ. ბავშვებმა გულში ჩაიხოხეს პატარა აიშე. პირველად ორი-სამი გოგონა გაეცნო, იმათ ძეოთხე და მეხუთე მოჰყვა და მალე აიშეს გარშემო მთელი სოფლის გოგონები შემოკრბა.

2

ჯემალი მისვლისთანავე სკოლისა და კოოპერატივის მდგომარეობას გაეცნო და ძალიან დაღონა იმ ამბავმა, რომ სკოლაში ბავშვები არ დადიოდენ და კოოპერატივს კი ყოფილი ვაჭარი განაგებდა, რომელსაც კოოპერატივის ქონება შინ მიქონდა და იქიდან ასაღებდა, როგორც ვითომც ძველი დროიდან დარჩენილ საქონელს. ამ საკითხების შესახებ ჯემალი ჯერ მასწავლებლებს ესაუბრა, შემდეგ საბჭოს წევრები მოიხმო და სათანადო საყვედური უთხრა უმოქმედობისათვის. კომკავშირლებისთვისაც უნდა დაეძახა ჯემალს, მაგრამ იმათ დაასწრეს, ჯემალთან გამოცხადდენ, ყველაფერი აუხსნეს და თუ ხელმძღვანელობას იკისრებდა და გზას ასწავლიდა, დახმარებაც აღუთქვეს. როდესაც კარგად შეისწავლა სოფლის მდგომარეობა, ჯემალმა საკითხი თემში არსებულ კომუჯრედის კრებაზე დასვა. კომუჯრედის კრებამ კომისია გამოყო ჯემალის მეთაურობით, რომელმაც ერთხელ კიდევ შეამოწმა ფაქტები და თავისი დასკვნა კომუჯრედს წარუდგინა, უჯრედმა ეს დაადგინა კოოპერატივის გაძგეობის გადასინჯვა, მისი ყოფილი გამგის პასუხისგებაში მიცემა და უმოქმედო გაძგეობის წევრების გამოყვანა. სკოლის საკითხი ძაინც მწვავედ იდგა. კომუჯრედმა სავალდებულოდ სცხო კომუხისტებისა და საბჭოს წევრების შვილებისათვის სკოლაში სიარული, მასწავლებლებსა და კომკავშირელებს დაევალათ სოფელში აგიტაციის გაწევა. ქალებთან მოლაპარაკება თიხამ იკისრა. კომუჯრედის დადგენილების შესრულებას მეორე დღიდანვე შეუდგენ.

იმ საძძა კომკავშირელმა, რომლებიც ამდენხანს ვერაფერს ბედავენ, ახალგაზრდების კრება მოიწვია, სადაც ძოხსენება გააკეთებიხეს ჯემალს. კრებას ოცამდის ახალგაზრდა დაესწრო და ძალიან ნაყოფიერიც გაძოდგა. კრების დასასრულს ხუთმა ახალგაზრდამ განაცხადა კომკავშირში შესვლის სურვილი. კრებაძ დაადგინა ხელი შეუწყონ სკოლაში ბავშვების ძიზიდვის საქმეს და თავიანთი ძმები ან სხვა ნათესავები აიძულონ ბავშვები სკოლაში შეიყვანონ.

ამ ზომებმა, აქტიურმა მუშაობამ და კარგმა აგიტაციამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ერთი კვირის შემდეგ ამ სკოლის ეზოში ორმოცამდის ძოწაფე თაძაძობდა დასასვენებელ საათებში. მართალია, მათში არცერთი გოგონა არ ერია, მაგრამ ამდენი ბავშვის მოყვანა სკოლაში სახუმრო არ იყო.

ჯემალმა მალე მოაწყო აგროპუნქტიც. მართალია, ის თეძსაბჭოს დადგენილებით მახლობელ სოფელში მოეწყო, მაგრამ ეს გარემოება არ უშლიდა ხელს ჯემალს თავის სოფელშიაც ემუშავა და კულტურულად ჩამორჩენილ ხალხში განათლება შეეტანა.

3

რამდენადაც პირველად არ მოეწონა აიშეს აქაური ბავშვები, იმდენად შეუყვარდა შემდეგ. ისინი არ იყვნენ სუფთად ჩაცმულნი, არ იცოდენ ისეთი სიმღერები, როგორც ქალაქში, არ ჰქონდათ სათამაშოები, არც შეკრეჭილი თმები, არ იცვამდენ მოკლე კაბებს, არ იცოდენ რა არის ოქტომბრელი, პიონერი, მაგრამ სამაგიეროდ იყვნენ გულკეთილნი, მორჩილნი, ხათრიანნი, თავაზიანნი და განსაკუთრებით აიშეს პატივისმცემლები. მასთან არავინ არ მოვიდოდა, რამე რომ არ მოეტანა: ჩურჩხელა, ჩირი,

ნიგოზი, ვაშლი, მსხალი და სხვა მრავალი საჭმელი. ეპატიჟებოდეს ოჯახშიაც, და თუ აიშე ვისძესას ძივიდოდა, მთელი ოჯახი თავზე შეეოევლებოდა. არაძც თუ გოგოხებს, არაძედ ქალებსაც კი შეუყვარდათ ჭკვიახი და სიცოცხლით სავსე აიძე. აიშეძ ბევრი რამ შეისწავლა სოფლის ცოოვოებიდაა, ძაგრამ მისგახ გაცილებით უფრო ბევრი შეისწავლეს და შეითვისეს.

აიშეს ამ სოფელში ყოფხამ გარდატეხა მოახდიხა ბავშვების ცხოვრებაში. დაიწყეს აიშეს მიბაძვა სიტყვა-პასუხში, სიარულში, ოქმედებაში, შეეჩვიეხ ხელპირის ბანას, სუფთად ჩაცმას, თძეაის ძოკლედ შეკრეჭას და, წარძოიდგიხეთ, ხოგიერთებძა, ძძობლებიც კი აიძულეს გრძელი ნაოჭიანი კაბის ხაცვლად აიშეს კაბის ძსგავსი მოკლე კაბა შეეკერათ. ამრიგად ამ სოფლის გოგოხების წინახდელი მდგომარეობა შეიცვალა და უფრო სილამაზე მიეცა. ჯემალი, თიხა და აიშე შეიქნენ მთელი სოფლის საყვარელი არსებანი. გაჭირვებისა და დალხინების დროს მათ ძიმართავდეხ და რჩევა-დარიგებას სთხოვდენ. ესენიც მზად იყვნენ ყოველგვარი დახმარება გაეწიათ მათთვის.

თინას კარგი თვალით უყურებდენ და ყველაფერს უჯერებდენ, მაგრამ როცა თინა ქალის სწავლების საკითხს შეეხებოდა, ვერ უწონებდენ.

— რა ქალის საქმეა სწავლა, — ეუბნებოდენ მას ქალები.

— ქალმა ოჯახობა იცოდეს, ქმრისა და მისი ნათესავების მონა-მორჩილი იყოს და მეტი რა უნდა.

თინა უმტკიცებდა მათ, რომ სწავლა ყველასათვის აუცილებელი და საჭიროა, მაგრამ არავინ უჯერებდა.

— შენ ბებია ქალობა გისწავლია, მაგას რად უნდა „ქეღელდის“ სწავლა. ჩვენმა ბებიებმა წერა-კითხვა არ იციან, მაგრამ ხელი არ ეშლებათ. კიდევ სხვა მაგალითს მოიყვანდენ ქალის სწავლების წინააღმდეგ და თინას ძალაუნებურად გააჩუმებდენ.

— ვადროვოთ და მალე თვითონ დარწმუნდებიან ქალის სწავლების საჭიროებაში, — უთხრა ერთხელ ჯემალმა თინას, და ისიც დაეთანხმა, თუმცა თავისი მუშაობა ქალებში არ შეუნელებია.

მიუხედავად იმისა, რომ თინა ყველას შეჰპირდა ფეხმძიმე ქალების უსასყიდლოდ მოლოგინებას და მოვლას, ქალები მაინც არ აწუხებდენ მას ასეთ დროს, უფრო სწორად რომ

ვთქვათ, ეშინოდათ ახალგაზრდა ქალის ხელში მშობიარის ჩაგდება.

— ბებია ქალი ბებიის ხნის უნდა იყოს, რომ უფრო იცოდეს მშობიარე ქალის მდგომარეობაო, — იძახდენ ისინი. მშობიარობის დროს თინას გვერდს უვლიდენ და სოფელში კარგად ცნობილი ქალი მოყავდათ, რომელმაც ბებიობის გარდა ლოცვები და მკითხაობაც იცოდა და, თუ მშობიარობა წესიერად არ ჩატარდებოდა, ლოცვებს მოჰყვებოდა. მის ლოცვებსა და მკითხაობაში თუ ვინმე მოკვდებოდა, ეს რა მისი ბრალი იყო.

ალახის ნება-სურვილს ვინ აღუდგება. ალბათ, ალახის ნება იყო ასე და მე როგორ შევცვლიდი, — იმართლებდა ის თავს და ჭირისუფალს ბლომად ფულებს გადაახდევინებდა. თუ მიცვალებულს რაიმე კარგი ნივთი დარჩებოდა, იმასაც მოითხოვდა მიცვალებულის სულის მოსაგონებლად.

თინას უნდოდა შეჰბრძოლებოდა ამ მოვლენებს, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმე იყო.

— გიაურის ქალს თქვენი მოტყუება უნდა. მისი მიზანია ჩვენ ჩამოგვაცილოს ჩვენი ქალები და მან გადიბიროს, — ამბობდენ მოწინააღმდეგენი და ამას ზედ კიდევ რამდენიმე სხვა მწარე სიტყვას დააყოლებდენ და თინას სახელს ლაფში სვრიდენ. თინა ყურადღებას არ აქცევდა მათ ლაპარაკს და განაგრძობდა მუშაობას ისე, როგორაც ეს მას ესმოდა, დარწმუნებული იმაში, რომ სოფლის გაუნათლებელი ქალები მალე შეაქცევდენ ზურგს მკითხავებს და ექიმებაშებს.

4

აიშეს ბევრი კარგი ამხანაგი ყავდა, მაგრამ მათში ყველაზე უფრო ნაილე უყვარდა. ნაილე ერთი წლით უფროსი იყო აიშეზე. ლამაზი, შავთვალწარბა, ხუჭუჭთმიანი და ოდნავ ფერმკრთალი, ის გამოირჩეოდა თავის ამხანაგებში. ნაილე და აიშე პირველი დღიდანვე დამეგობრდენ და ისე შეიყვარეს ერთმანეთი, რომ დღეს არ გამოტოვებდენ ერთმანეთის უნახავად. ნაი-

ლეს მშობლები ყველაზე ღარიბად ცხოვრობდენ ამ სოფელში. ნაილეს დედა ემინე ძალზე ცრუმორწმუნე და კერპი ადამიანი იყო. მას არავისი სჯეროდა, გარდა ხოჯა მუხამედისა და იმ ორი მკითხავი დედაკაცისა, რომლებიც ამ სოფელში ერთ დროს ბაოტნობდენ. სკოლის გახსნა მას არ მოეწონა, მასში რჯულის სიმტკიცის დარღვევა დაინახა, რაც მისმა ბიძაშვილმა მოლა ჰასანმა ჩააგონა. არც ჯემალის და მისი ოჯახის ამოსვლა დარჩენია სასიამოვნოდ. პირიქით, კიდევაც ეწყინა და, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მეზობლის ქალები აქებდენ და ადიდებდენ თინას, ემინეს ერთხელაც არ მოჰსვლია აზრად ამ უცხო ქალის გაცნობა.

— თქვენ რა იცით, ეშმაკი ხშირად კეთილი ადამიანის სახით გვევლინება, რჯულისა და სარწმუნოებიდან რომ გადაგვაგდოს, — ამბობდა ის და ისე აგინებდა და ლანძღავდა თინას, თითქოს მისი კარგახნის ნაცნობი ყოფილიყოს და დარწმუნებული მის სიბოროტეში. გაიგო თუ არა ემინემ აიშესა და ნაილეს დამეგობრება, ბრაზით კინალამ გასკდა.

— რა გინდა იმ გიაურის შვილთან! — უყვირა მან ნაილეს. — მეორეხელ არ დაგინახო მასთან, თორემ დაგწყევლი და სახლიდან გაგაგდებ! — დაემუქრა ის.

ნაილემ იცოდა დედა თავის სიტყვებს აასრულებდა და მართლაც დიდ სასჯელს დაადებდა გაჯიუტებულ შვილს, მაგრამ აიშეს



მოცილებას ის უფრო მეტ სასჯელად თვლიდა. მას უნდოდა ერთიცა და მეორეც ჰყოლოდა, დედაცა და ამხანაგიც, მაგრამ რადგან ეს ცხადად შეუძლებელი იყო, ისევ მალულად დაიწყო აიშესთან სიარული. მეზობლისას წასვლას ან სხვა რამეს მოიმიზეზებდა და, დედისაგან ნებართვამიღებული, აიშესთან გაიქცეოდა. აიშესათვის მას მუდამ მიჰქონდა საჩუქრები, ხილი, კარაქი, ყველი, მაწონი და სხვა, რასაც სახლიდან ჩუმად გამოიტანდა ხოლმე. თინაც ყურადღებას აქცევდა ამ ბავშვის საქციელს და ეკითხებოდა ზოგიერთ რამეებს თავისი ოჯახის ცხოვრებიდან, მაგრამ ჭკვიანი ბავშვი ისე უამბობდა ყველაფერს, რომ თინა დარწმუნებული იყო ნაილეს დედის კარგ ქალობაში, თუმცა გაგონილი ჰქონდა ზოგიერთებისაგან მისი კერპი ხასიათის შესახებ. თავის მხრივ თინაც ატანდა ბავშვს საჩუქრებს, მაგრამ უკანასკნელი მას მალავდა.

— რატომაა დედა ასე კერპი? — ამბობდა ნაილე. — რა დაუშავდება, სხვა ქალებსავით გაეცნოს თინას, აიშეს, ასეთ კეთილ ადამიანებს.

ნაილეს შეშურდა თავისი ამხანაგების ბედი, რომლებიც აიშესა და თინას ოჯახში ეპატიჟებოდენ თავიანთი დედის დავალებით და პატივს სცემდენ. ის ნატრობდა თავისუფლად და უშიშრად აიშესთან მისვლასა და ამხანაგობას.

როგორი დღე და ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, ნაილე მაინც პირველად მიდიოდა აიშესას. მის შემდეგ პატარა შორეთი შეაღებდა კარებს და ბოლოს რიგრიგობით მთელი სოფლის გოგონები შეიკრიბებოდენ აიშე გადახედავდა ამხანაგებს და როცა დარწმუნდებოდა ყველანი იყვნენ, სათამაშოების ამოლაგებას შეუდგებოდა. თუ ცუდი დარი იყო, ოთახში თამაშობდენ, ხოლო კარგ დარში სკოლის წინ

წავიდოდენ და იქ ნაძვნარში გამართავდენ თამაშობას. აიშემ ბევრი სრულიად ახალი თამაშობა ასწავლა ბავშვებს, მათგანაც ბევრი ისწავლა, მაგრამ იმათში მხოლოდ ზოგიერთი აირჩია. ხშირად აიშე ამხანაგებს ციკნების საწყესავადაც წაჰყვებოდა, ხბოების საძოვარშიაც, წისქვილშიც მიდიოდა, რომელიც კარგ სანახაობად მიაჩნდა მას და დიდხანს უცქერდა ციბრუტივით მოტრიალე ქვასა და მორაკრაკე სარეკელას. ისე შეეჩვია აიშე აქაურობას, რომ თითქმის გაუქრა გულში ქალაქის ცხოვრების მოგონებები და ლამაზად და კოხტად გამოწყობილი ამხანაგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიოდა დღეები, და მდგომარეობა უცვლელი იყო. იცვლებოდა მხოლოდ ზოგიერთი რამე სოფლის ცხოვრებაში, რაც ბავშვებისათვის შეუმჩნეველი იყო. ისინი დილიდან საღამომდის ერთნაირად თამაშობდენ, ხტუნაობდენ და აქეთ-იქეთ ნავარდობდენ.

(გაგრძელება იქნება)

არნო ოდელი.

მ ა ი ს ი

I

მოვიდა... ნაირ საღებავებით
დაფერა ეზო, ველი, ბაღები.
ყველგან: ქალაქად, სოფლად, მთა-ბარად
დაირხა წითლად ბაირაღები.

ზამთარი წარსულს გადააბარა,
მზე მოიყვანა ზეიმით, მღერით.
ახალ ქვეყანას გულგასახარად
გადააფარა ცა მტრედისფერი.

მოვიდა... მარში რომ თქვა, სიმღერა
ფოლადის ჩანგზე ჩამორხეული,
მთას მისწვდა, ყელი შემოიღერა
და აამღერა ჭალა-ხევები.

ათასნაირი ფერის ღილები
ბაღს დააბნია მხატვარის ხელით.
მთა და ნიავი, მზე, ყვავილები
როდია ახლა მიუწვდომელი!

ბოლშევიკური მინდვრის გმირების
აანთო მაჯა ლონით და ჯანით,
და გადახნული შორს ყამირები
ველზე გიგანტურ ნაბდებად ჩანან.

ასე მოვიდა მაისი ჩვენთან
საქმიანი და მზრუნველი ხელით.
შრომას მაღალი ტემპი დაშვენდა,
გულს — სიმღერები აურაცხელი!

II

მაისია.
ჩვენს მხნე რაზმებს
უხმობს
მწვანე ველი.
გულს ზეიმის
შუქი ავსებს,
გრძნობა ულეველი!
გადაშლილა
თვალწინ დილა
ასე საკვირველი.
ასე მღერის
აღტაცებით
მაისი პირველი!
ასეული ათასები
დროშებით
და ლხენით
ქუჩებს ავსებს
გაზაფხულის
ზღვაურ აღმაფრენით.
სასიამოდ
გვიძგერს გული
ახალ
ქვეყნის ფარად;
რომ ვიბრძოლოთ,
რომ ვაშენოთ
თქვენთან
მზად ვართ მარად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გმირული გამარჯვება





მთელი საბჭოთა კავშირისა და აგრეთვე მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი იყო შმიდტს ყინულოვანი ბანაკისაკენ. ჩელუსკინელთა გმირული მოქმედება ისტორიაში შევა, როგორც არქტიკის საბჭოთა მკვლევარების უდიდესი სიმამაცის, სწრაფი მოსაზრების უნარის და ორგანიზებულობის ნიმუში. ჩელუსკინელების ექსპედიცია ძნელ ყინულოვან პირობებში მოხდა.

„ჩელუსკინი“ დაიღუპა, იგი ყინულების მთებმა გასრისა, მაგრამ ჩრდილოეთის დიდი საზღვაო გზა დაპყრობილია. საბჭოთა გემები დაუბრკოლებლივ ივლიან მასზე წყლის უმოკლესი გზით და დააკავშირებენ ჩვენი ქვეყნის ცენტრებთან შორეულ ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მდიდარ ცალკეულ რაიონებს.

ჩელუსკინელები გმირულმა თავდადებამ და საბჭოთა ტექნიკამ გადაარჩინა. მათი გადარჩენა საბჭოთა ტექნიკის და პირველ რიგში მისი ავიაციის უდიდესი გამარჯვებაა, რადგან ჩვენმა მფრინავებმა გადაჭრეს გამოუკვლეველი ანადირის ქედი.

ისეთი გმირი მფრინავები, როგორიც არიან ლიაპიდევსკი, ლევანევსკი, მოლოკოვი, კამანინი, სლეპნევი, ვოდოპიანოვი და დორონინი დაჯილდოებული იქნენ წარჩინების უმაღლესი ხარისხით „საბჭოთა კავშირის გმირის“ სახელწოდებით. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატისაგან ყველა ჩელიუსკინელებმა გმირული მოქმედებისათვის ღირსეული ჯილდო მიიღეს.

ლიაპიდევსკის, ლევანევსკის, მოლოკოვს, კამანინს, სლეპნევს, ვოდოპიანოვს, დორონინს.

აღტაცებული ვართ თქვენ მიერ ჩატარებული გმირული მუშაობით ჩელუსკინელთა გადასარჩენად. ვამაყობთ თქვენი გამარჯვებით სტიქიის ძალებზე. გვიხარია, რომ თქვენ გაამართლეთ საუკეთესო იმედები და აღმოჩნდით ჩვენი დიდი სამშობლოს ღირსეული შვილნი.

ვშუამადგომლობთ ს. ს. რ. კ.-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე:

1. დაწესდეს წარჩინების უმაღლესი ხარისხი, დაკავშირებული გმირობის გამოჩენასთან — „**საბჭოთა კავშირის გმირის**“ სახელწოდება.

2. მიეკუთვნოს მფრინავებს: ლიაპიდევსკის, ლევანევსკის, მოლოკოვს, კამანინს, სლეპნევს, ვოდოპიანოვს და დორონინს, რომელთაც ჩელუსკინელთა გადარჩენაში უშუალო მონაწილეობა მიიღეს, „საბჭოთა კავშირის გმირთა“ სახელწოდება.

3. დაჯილდოებულ იქნან ლენინის ორდენით დასახელებული მფრინავები და მათთვის მოსახურების გამწევი ბორტმექანიკოსები, ... ცეს მათ ერთდროული ფულადი ჯილდო წლიური ჯამაგირის რაოდენობით.

ი. სტალინი
ვ. მოლოტოვი
კ. ვოროშილოვი
ვ. კუიბიშევი
ა. ჟდანოვი.

პ. თამარაშვილი

შვიდ გმირს

თვე თვეს წაჰყვება თანდათან,
დრო თავის ალღოს აიღებს,
მაგრამ თქვენ გმირულ საქციელს
ის ველარსაით წაიღებს!

ის ვერ დამალავს, რაც მოხდა,
რაც უკვე ყველამ გაიგო:
თქვენმა გმირობამ დეპეშა
ყოველი მხრისკენ წაიღო.

თქვენ გადალახეთ მამაცად
აისბერგნი და თხრილები,
თქვენ გამოგლიჯეთ არქტიკას
დაულალავი გმირები.

თქვენ მედგარ ბრძოლით დასძლიეთ
უხეში ქარიშხალები,
თქვენ დაამტკიცეთ, რომ კავშირს
აქვს საამაყო ძალები!

თქვენ ჩაგვინერგეთ გულებში
სიმამაცე და გმირობა,
მივბაძავთ ჩვენც თქვენ საქციელს
ეს არის ჩვენი პირობა.

გმირთა გმირებო, მიიღეთ
ბავშთა გულწრფელი სალამი,
თქვენმა ზღაპრულმა ქმედებამ
ამაღებინა კალამი!

თქვენ გადმოლახეთ მამაცად
აისბერგნი და თხრილები,
თქვენ დაუბრუნეთ სამშობლოს
შემდეგ ბრძოლისთვის გმირები!

ნ. ჭ.

7 პილოტმეტრის სიმაღლიდან

ლენინგრადში მშრომელთა კუნძულზე არის სამ-ოთხ სართულიანი სახლის სიმაღლე კოშკი. კოშკის თავზე ქანაობს თოკებით დამაგრებული უზარმაზარი გაშლილი ქოლგა. კოშკს თითქოს ამ ქოლგის ქვეშ უნდა წვიმისაგან თავის შეფარება. მაგრამ ქოლგას სწორედ კარგ ამინდში აქვს გაცხოველებული მუშაობა, წვიმიან დღეს კი ის ისვენებს. ნეტავ რას აკეთებს ეს ქოლგა?

ბევრნი ადიან ხვეული კიბით კოშკის თავზე, რომ რამდენიმე წუთით მაინც გადაიქცევენ ფრინველებად: ეს ქოლგა პარაშუტია. მაგარი ღვედებით მიამაგრებენ „მფრინავებს“ პარაშუტს. ახლა საკმაოა ერთი ნაბიჯი გადადგას ასეთმა „მფრინავმა“, კოშკის ბაქანის კიდეზე მდგომმა, და ის მეოთხე სართულის სიმაღლით დაეშვება ძირს, მაგრამ არაფერს მოიწევს: პარაშუტი დინჯად, ნელა დაიყვანს მას მიწამდის.

მაგრამ, თურმე, ადვილი საქმე როდი ყოფილა ჰაერში ფეხის გადადგმა. ზოგიერთნი გაბედულად, უშიშრად ფრინავენ, ზოგნი კი გაუბედავად დგანან ბაქანის კიდესთან და ყოყმანობენ. ისეთებიც კი არიან, რომელნიც გადაიხედვენ ძირს, შიშით თვალთ დაუბნელდებათ, საჩქაროდ გაითავისუფლებენ თავს პარაშუტისაგან და ისევ კიბით დაეშვებიან ძირს. ასეთ გაქცეულებს სიცილს დააყრიან ხოლმე, უსტვენენ, ისინი კი ფაცხაფუცხით ჩარბიან კიბეზე.

განა რა სიმაღლეა ეს კოშკი — სულ 20 მეტრი თუ იქნება. პარაშუტი გაშლილია, ღვედები საიმედოა, არავითარი საშიშროება არ მოელის ადამიანს, და ზევრს მაინც ეშინია...

აი, გამბედაობა იმას ჰქვია, რაც ჩაიდინა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საპარაშუტო საქმის ინსტრუქტორმა ევსეევმა მიმდინარე წლის 10 სექტემბერს. ის ჩაჯდა საბჭოთა მფრინავ კოკინაკის აეროპლანში და 7 კილომეტრის სიმაღლეზე აფრინდა.

იქ, ღრუბლების ზევით, ევსეევმა შეამოწმა მჟავბადის მოწყობილობისა და მჟავბადის ნიღაბის მუშაობა, კაბინიდან გამოძვრა აეროპლანის კიდეზე და... მაგრამ სჯობს თვითონ ევსეევს მოვუსმინოთ, თუ რა მოხდა იქ, 7 კილომეტრის სიმაღლეზე...

„მე ვებრძოდი ჰაერის ნაკადებს, მუცელზე დავწექი კაბინის კიდეზე და ცივ უფსკრულში დავიწყე ჩაცოცება. სათვალეები დაიორთქლა. ვერაფერს ვეღარ ვხედავ. არც შემიძლია სათვალეების მოხსნა: ხელები კაბინაზე მაქვს მოკიდებული. გადავწყვიტე — ასე ბრმა მოვწყდები აეროპლანს და სათვალეებს გზაში გავიწმენდ მეოქი. მე ნელა გავუშვი ხელები,



რომ მოვწყდომოდი აეროპლანს, მაგრამ ეს ჩქარა ვერ შევძელი: მე სათადარიგო პარაშუტზე ვეკიდე. რა მოხდა?

„უცებ მოვიხსენი სათვალეები. თურმე, სათადარიგო პარაშუტი კაბინაშია, მე კი მის მეორე მხარეს ვკიდივარ მანქანის ცივ ბოლოსთან. ხელები მეყინება აუტანელი სიცივისაგან. მე ვსინჯე კაბინისთვის ჩამევლო ხელი და პარაშუტი გამეთავისუფლებია, მაგრამ ეს ვერ შევძელ, ძალღონე არ მეყო. მე ორივე ხელით მივაწექი მანქანის ფუზელიაჟს და მთელი ძალღონით შევეცადე მოვწყდომოდი მანქანას. და დავექანე ძირს, ამავე დროს ხელი დავაჭირე წუთმთვლელის კნოპს“.

ეს მოხდა 7200 მეტრის სიმაღლეზე. ევსეევი ტყვიასავით ეშვებოდა და თან მოქონდა დაკეცილი პარაშუტი.

საღამოს თქვენ წინ ჩაუქროლია მთელი სისწრაფით მავალ ჩქარ მატარებელს? განათებული ფანჯრები, ვაგონები, ორთქლმავალი — ყველაფერი ერთ მოელვარე ზოლად არის გადაქცეული. ევსეევი ჩქარ მატარებელზე ორჯერ უფრო სწრაფად მოქროდა.

გადმოხტომისას ჰაერის ტემპერატურა იყო 37° ნოლს ქვევით. ყინვის ქარიშხალი უსტვენდა ევსეევის გარშემო. საკმაო იყო მას გამოეწია ლითონის წითელი რგოლი, მკერდზე მარცხენა მხარეს მიმაგრებული, და პარაშუტი გაიშლებოდა. ევსეევი ნელა მდოვრულად დაეშვებოდა.

მაგრამ ევსეევი არ შლის პარაშუტს, ის იცდის, ის დაკვირვებებს აწარმოებს:

„მე მეტეორივით მოვექანებოდი მიწისკენ. სათვალეები გავიკეთე, ახლა ყველაფერს ვხედავ. ცივა. დავხედე წამთვლელს, რომელმაც უკვე დაითვალა 27 წამი. ყურები ამტკივდა. სიმღერა დავიწყე, რომ გამეთანაბრებია ყურის აპკის წნევა. ტკივილი გაყუჩდა. გავჩუმდი — ისევ მეტკინა ყურები. იძულებული გავხდი მემღერა და ვმღეროდი პარაშუტის გახსნის მომენტამდის. კიდევ რამდენიე წამმა გაიარა. მეორედ დავხედე წამმთვლელს, რომელიც მარცხენა ხელისგულზე მქონდა მიმაგრებული. მან 97 წამი აჩვენა.

„აქამდის თვალყურს არ ვადევნებდი მიწას. ახლა უნდა მოვემზადო მიწის შესახვედრად. მე შევხედე მიწას, რომელიც საშინელი სისწრაფით მოექანებოდა ჩემკენ. მკერდზე მოვსინჯე პარაშუტის რგო-

ლი, მოვნახე მიწაზე რადიოანძები და ველოდი, როდის გაუთანაბრდებოდა მათი წვეროები ჰორიზონტს. როგორც კი მივაღწიე ამას, მოვწიე რგოლი, აბრეშუმი იმ წუთსვე თეთრ სვეტად აიმართა. წამის შემდეგ მე საშინლად დამკრა, მაგრამ ამ ბიძგს მხრები არ დაუზიანებია, ვინაიდან იღლიაში ბალნის ბალიშები მქონდა ამოდებული. ზევით ავწიე თავი, პარაშუტის თაღი დავათვალიერე. ის მთელი იყო".

ახლა ევსეევი დასაჯდომ ადგილს ეძებს. ის ხედავს ტყეს, ირჩევს ველს და უვნებლად ეშვება.

132 წამი ვარდებოდა ევსეევი, მხოლოდ 132 წამი, და 7 კილომეტრი გამოიქროლა...

„პარაშუტი მიწიდან 150 მეტრის სიმაღლეზე გაიშალა. მე წამში 53 მეტრის სისწრაფით მოვქროდი. ასეთი სისწრაფის დროს პარაშუტი 1,3 წამში იშლება. ამიტომ, ერთი-ორი წამი რომ შემგვიანებოდა, მიწას დავასკდებოდი".

„ასე ზუსტი გაანგარიშება იმით შევძელ, რომ შევაჯამე გადმოხტომათა მთელი ჩემი გამოცდილება და ყოველ მხრივ შევამოწმე იგი ნახაზებით".

7200 მეტრიდან გადმოხტომა!!

ამასწინათ ინგლისელმა მფრინავმა ტრანუმმა დაამყარა პარაშუტით გადმოხტომის მსოფლიო რეკორდი. ის 97 წამი ვარდებოდა დაკეცილი პარაშუტით და 5270 მეტრი გაიფრინა. ევსეევს 132,5 წამის განმავლობაში არ გაუშლია პარაშუტი და 7050 მეტრი გაიფრინა. ეს არის ახალი მსოფლიო რეკორდი პარაშუტით გადმოხტომისა.

ბევრი ასეთი მამაცი ევსეევი ჰყავს წითელ არმიასა და საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა კავშირის რევ. სამხედრო საბჭოს ბრძანებით ევსეევი დაჯილდოებულია წამთვლელიანი ოქროს საათით.

ადამიანმა დაიპყრო ჰაერი...

ეგნატე ნინოშვილი

(გარდაცვალებიდან 40 წლისთავის გამო)

დღეს საქართველოში ყველამ იცის, თუ ვინ იყო ეგნატე ნინოშვილი. ეგნატე ნინოშვილი ჩვენი საყვარელი მწერალია. ის მეცხრამეტე საუკუნის ქართველ დიდ მწერლებს შორის დგას როგორც მხატვრული ლიტერატურის უდიდესი ძემოქმედი.

ეგნატემ თავის შემოქმედებაში აგვისახა მეცხრამეტე საუკუნის ქართველი (გურული) ღარიბ-ღატაკი გლეხობა. ის პირველი პროლეტარული მწერალია, რომელმაც თავისი შემოქმედების საფუძვლად გაიხადა გაპროლეტარებული გლეხობა.

ეგნატე ნინოშვილმა არსებული თვითმპყრობელური წყობილების ველური რეჟიმი ჯერ კიდევ მაშინ იგრძნო, როცა ის ოზურგეთის სასულიერო სკოლაში იყო. მან მოაწყო მოწაფეთა გაფიცვა, რის გამოც იგი სასწავლებლიდან გააძევეს. ამის შემდეგ მას სკოლის კარები აღარ უხილავს.

ეგნატე ხან ასოთამწყობია, ხან ნავთის ქარხნის მუშა, ხან სახალხო მასწავლებელი. ის ერთი პირველი ქართველი პროლეტართაგანია. მას სდევნის მთავრობა, მაგრამ მისი მტკიცე ნებისყოფა ოდნავადაც არ შერყეულა. ამ უაღრესად შეიწროებულ ეკონომიურ პირობებში ეგნატეს სწავლის სურვილი მაინც არ დაშრეტია და სწავლის მისაღებად საფრანგეთში გაემგზავრა. მაგრამ თავის მიზანს ვერც საფრანგეთში მიაღწია, რადგან თავისი ეკონომიური სიდუხჭირე იქაც გაჰყვა და იძულებული გახდა რამდენიმე ხნის შემდეგ უკან დაბრუნებულიყო.

ეგნატე ნინოშვილი მარქსისტ-რევოლუციონერი მწერალია. მან ჩამოაყალიბა 90-იან წლებში პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც შემდგომ „მესამე დასის" სახელწოდებით იქნა ცნობილი. ამ მესამე დასშივე იჩინა თავი მენშევიკების წვრილბურჟუაზიულმა და კონტრრევოლუციონურმა გეზმა ნ. ჟორდანიას სახით.

ეგნატე ნინოშვილის მადლიანი კალმით დახატული ტიპები მკვეთრად ჩანან. განა ქართული ლიტერატურა ოდესმე დაივიწყებს ისეთ დიდი ოსტატობის ნიმუშს, როგორიც არის: „გოგია უიშვილი", „მოსე მწერალი", „პალიასტომის ტბა", „სიმონა", „ჩვენი ქვეყნის რაინდი" და სხვა.

ეგნატე ნინოშვილი იყო, პროლეტარული რევოლუციის პიონერი მებრძოლი, პირველი და ჯერ უბადლო პროლეტარული მწერალი საქართველოში.

ლ. საქარელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოსიმეს ოცნება[1]

(დასასრული)

5

ღამეა.

სოფელი ღრმა ძილშია წასული.

გაზაფხულის ზეცა კაშკაშა ვარსკვლავებით არის მოჭედილი და მკრთალი მთვარე თითქოს ალმაცერად კიდია თვალუწვდენ სივრცეში. ის ღამაზად დაჰქათქათებს ჩაძინებულ ბუნებას.

ღამის სიწყნარეში ორი ადამიანი აჩრდილივით მიდის.

— მამაო ზოსიმე, ჩვენ საქმეს, ღვთის მადლითა და წყალობით, კითელად დავამთავრებთ, არა?

ზოსიმემ გაიღიმა. მთვარის მკრთალ შუქზე მისი კბილები მოლიბროდ გამოჩნდა.



— კი, მამა და შვილო, რაშიც ღმერთი ურევია, იმ საქმის ნუ გეშინია.

დიაკონმა გაკვირვებით შეხედა ზოსიმეს.

— როგორ, მამაო, ჩვენ საქმეში ღმერთი მართლა ურევია?!

— დიახ, მამა და შვილო, ყველაფერი ღვთის კარნახით კეთდება.

დიაკონი სიხარულმა აიტაცა და აღფრთოვანებით წამოიძახა:

— ჰოდა, მამაო, პატივი და დიდება აწი უფრო დიდი გვექნება.

ზოსიმე შეკრთა.

მან ხელი ბაგეზე დაიდო და წაიჩურჩულა:

— მოთმინება გქონდეს, ოდეს ღმერთი ამას გვიქადაგებს.

დიაკონმა თავი დახარა და ისევ ფეხაკრეფით სიარული განაგრძო.

ისინი მეორე დღეს ადრე მივიდენ თავიანთ უფროსთან. მასთან დიდხანს ითათბირეს. ამ ხანგრძლივ თათბირზე გადაწყდა ეკლესია ახალ ადგილზე აეგოთ.

ზოსიმემ და მისმა დიაკონმა სიხარულით ფრთები შეისხეს.

ისინი შინ ბრუნდებოდენ და ახალი ამბავი მოჰქონდათ. რაკი ყოვლად სამღვდელოსაგან მიიღეს ნებართვა, განა ამის შემდეგ ვინმე გადაეღობებოდა მათი ოცნების განხორციელებას?

ამ გადაწყვეტილებას ყველა უნდა დამორჩილებოდა.

6

ზოსიმემ თავის სანატრელ მიზანს მიაღწია. ის სიხარულით წავიდა ეკლესიაში, მისვლისთანავე შეუდგა ლოცვას და თავისი ბოხი ხმით ეკლესიის მაღალ კედლებში მოქცეული მყუდროება გაფანტა.

სოფლად რაკი მუშაობის დრო დადგებოდა, მაშინ მთელი მოსახლეობა, ვისაც კი მუშაობა შეეძლო, მინდვრად გადიოდა. უსაქმურად მოარული გლეხი იშვიათი იყო, განსაკუთრებით გაზაფხულობით. ისინი წლიდან წლამდის წელისწყვეტით მუშაობდენ და მაინც არაფერი არ გააჩნდათ.

[1]) იხილეთ ჟურ. „პიონერი“ № 4.

ამიტომ იყო, რომ გლეხები ცოტა-ღა დადიოდენ ეკლესიაში სალოცავად.

ზოსიმეს ლოცვა რაღაცა ახიარული კილოთი დაიწყო. მის წინ ამ დროს მხოლოდ რამდენიძე გადაყრუებული მოხუცი იდგა.

მღვდელმა ლოცვა რომ დაამთავრა, მლოცველების წინ დადგა.

ძას მრავალფერად აბრჭყვიალებული სამოსელი ეცვა.

რამდენიმე მოხუცი მამაკაცისა და დედაკაცის თვალები შესცქეროდა ზოსიმეს, მაგრამ ძნელი სათქმელია, თუ რა იზიდავდა მათ: მღვდლის სიტყვა, თუ მისი ბრჭყვიალა ჩაცმულობა. როცა ის ამ ათასნაირად ძოვარაყებულ ტანისამოსს ჩაიცვამდა, მაშინ ჩვეულებრივ ზოსიმეს ალარც-კი ჰგავდა. გამოვიდა თუ არა საკურთხევლიდან, ზოსიმემ დიხჯად გადაავლო თვალი თავის მცირერიცხოვან მლოცველებს და დინჯად დაიწყო:

— სახელითა ღვთისათა გადაწყდა ჩვენი ეკლესიის გალმა მხრით აგება. ყველა ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანის ვალია, არ ჰგმოს ღვთის ნება-სურვილი...

დიდხაის ილაპარაკა ზოსიმემ.

გლეხები მას მდუმარედ უსმენდენ და ასევე მდუმარედ წავიდენ შინისკენ.

იმ დილით, როცა ასეთი საოცნებო და სასიხარულო ამბავი ზოსიმეს ლოგინში წალმაუკულმა ატრიალებდა, სოფელი ერთბაშად შეიშმუშნა.

დღედალამე ჯერ კიდევ არ იყო გაყრილი, რომ გლეხები სახნავად გაეშურნენ, შინ კი ქალები დატოვეს, რომ სადილი დაემზადებიათ და ყანაში ჩაეტანათ.

ლეხინოც სხვა გლეხებთან ერთად წავიდა სამუშაოდ. მან რომ ხარ-ულელი გამართა სახნავად, მზე კიდევ არ იყო ამოსული, მაგრამ გაავლო თუ არა რამდენიმე კვალი, მზემ უხვად დააყარა სხივები იმ ჭალას, სადაც ლეხინო და მისი მეზობელი გლეხები მუშაობდენ.

ხარებს ღრმა კვალი მიქონდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე თანდათან ამოიმართა ზევით.

ღამით დანამული მინდორი გაშრა.

დაღლილი მეხრეები სადილის მოლოდინში არიან და თავიანთი სახლებისკენ იცქირებიან.

ლეხინოს ცოლს სადილი უკვე მოაქვს და ქმარშვილისკენ მოუხარია.

დაღლილი მეხრე სადილმა გაახარა და თითქოს გაჯავრებულის კილოთი უთხრა ვასოს:

— აწი, სადილობა ველარ გეიგო იმ ადამიანმა?

— თუ კიდევ დეიგვიანა, მე მაინც წავალ სადილის ჩამოსატანად, — უპასუხა ვასომ.

მოსადილე უკვე მიხვდა მამისა და შვილის ხუმრობას, რომ ისინი განგებ ლაპარაკობდენ. ლეხინომ ასე იცოდა ხოლმე, როცა კარგ ხასიათზე იქნებოდა და როცა ნამუშევარი გულს უხარებდა.

ქალმა ყანაში სადილი და უცნაური ამბავი მოიტანა.

— ბოშო, ახალი ამბავი არაფერი გაგიგიათ? — თქვა ლეხინოს ცოლმა.

მეხრემ ხარები გააჩერა და დინჯად მოუბრუნდა ცოლს.

— რომელ ამბავზე მელაპარაკები?

— ბოშო, არ იცი, ჩვენი მღვდელი რო ლაპარაკობდა ხოლმე.

ლეხინომ კიდევ უფრო გაკვირვებით შეხედა დედაკაცს, ვასომ კი ეშმაკურად გაიღიმა, მაგრამ არაფერი არ თქვა.

— რა ვიცი, რა ჯანაბას ლაპარაკობდა ჩვენი მღვდელი...

დედაკაცი მოყვა იმ ამბავს, რაც ზოსიმემ გამოაცხადა ეკლესიაში.

ის ძალიან წუხდა, რადგან მთელი ხარჯები გლეხების კისერზე უნდა ამოეღოთ. ჯერ უამისოდაც ღარიბები იყვნენ და ამის შემდეგ ხომ მთლად მიწასთან უნდა გასწორებულიყვნენ.

— ჰაი, დიდება შენდა, უფალო, — ჩაილაპარაკა ლეხინომ.

— სწორედ ეგ იყო ზოსიმეს ოცნება. ის მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ მაგის შესახებ ფიქრობდა და კიდევაც მიაღწია. არა, რა უნდა იმ ოჯახამოსაგდებს, — გაცხარებით თქვა ვასომ.

ისინი დასხდენ სადილად, და წარბშეკრულმა ლეხინომ კიდევ უფრო გულმოდგინედ დაიწერა პირჯვარი.

მეხრეები კარგად შენაყრდენ და ისევ თავიანთ სამუშაოს მიმართეს. ლეხინოს გულს უხარებდა ნამუშევარი, მაგრამ ღრმა ფიქრში შეაცურა ამ არასასიამოვნო ამბავმა. მის შეჭმუხნულ სახეზე ყველაფერი ჩანდა.

მთელი დღე ფიქრებში გავიდა.

შინისკენ მიმავალმა ლეხინომ კიდევ ბევრისგან გაიგონა ეს ახალი ამბავი.

7

დილით მთელი სოფელი ეკლესიის ეზოში მოგროვდა. ისინი იმ მიზნით მივიდენ იქ, რომ ეთქვათ თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ...

ზოსიმე და მისი დიაკონი გულმხურვალედ ლოცულობდენ. გალმა-გამოლმელები, ყველანი წინააღმდეგი იყვნენ ეკლესიის ხელახლად აგების.

ახალგაზრდებს ჩუმი საუბარი გაემართათ და ირონიულად იღიმებოდენ.

— მთავრობა მათ მხარეზეა და აბა ჩვენ რას გავაწყობთ. შევებათ ამ მძიმე უღელში. — თქვა ერთმა.

ზოსიმეს ესმოდა ახალგაზრდების უკმაყოფილო ჩოჩქოლი, მაგრამ მათ სიტყვებს ყურს არიდებდა.

მან ბოლოს გლეხებს მიმართა:

— შვილებო, განგება ასე ითხოვს, ეკლესია იქ უნდა ავაშენოთ.

— ავაშენოთ. — მძიმედ წაიდუდუნეს გლეხებმა.

გადიოდა ხანი, კვნესოდენ გლეხები, და შენდებოდა ეკლესია.

წელში ოთხად მოხრილი გლეხები მწარე გმინვით ეზიდებოდენ მაღლისკენ ქვებს.

ისინი წყევლიდენ ზოსიმეს, წყევლიდენ ყველაფერს და თავიანთ გაჩენასაც.

ახალი ეკლესია აშენდა. ეპისკოპოსი მოვიდა, რომ ეკურთხებია იგი. ათსნაირად მორთულმა ეპისკოპოსმა ხალხი გააოცა. გლეხები თავდახრილი მიდიოდენ მასთან და მოწიწებით ეამბორებოდენ მისი სამოსის კალთებს. რამდენიმე ახალგაზრდა კი თავს აქნევდა და თანაც ამბობდენ.

— გაივლის დრო, და ეს ყველაფერი მასხრობად მოგვეჩვენება.

ციცი გუჟურაული.
(III ჯგ. მოწ.).

ძია შიოს

დედამ გაზეთში ამოიკითხა
ცუდი ამბავი ძია შიოსი, —
თურმე აღარ გვყავს ჩვენ მეგობარი,
ბავშვების ტკბილი მესაიდუმლე.

ძლიერ დავღონდი და ჩემთან ერთად
დაღონდა ფისო, ცუგო, ბელურა,
ყველა შევწუხდით, და ყველას გულში
წუთით ნაღველმა დაისადგურა.

გაზაფხულზე რომ გადიფურჩქნება
ია, ენძელა, ზამბახი, ვარდი,
ტკბილი ჭიკჭიკით შორი ქვეყნიდან
გადმოფრინდება მერცხალი მარდი,

ჩვენ მათ ვუამბობთ, გავაგებინებთ,
რომ ძია შიო უკვე არ არის
და ჩვენთან დარჩა მისი ლექსები
სიხარულით და გრძნობით გამთბარი.

მის ძვირფას ლექსებს მუდამ ვიგონებთ,
კარგად ვისწავლით, დავიზეპირებთ,
და ამ ლექსების სიტყვებთან ერთად
ჩვენ ძია შიოს არ დავივიწყებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. კალანდაძე.

საბავშვო ლექსი



ბუჩქი გულდაბურდული
დილის ნიავთან ანცობს,
მახლობელ ტყიდან გუგული
ბუნების ზეიმს გვამცნობს.

კლდეზე ჩანჩქერი ჩქრიალებს,
ფოთლები შხეფებს სვამენ,
ხანდახან შეიშრიალებს
ტყე, შეფოთლილი მწვანედ.

ტყისპირას აყრილ ნეკერჩხალს
ლორთქო ყლორტები ჰშვენის,
უხარის მოხუც ერკემალს
და ბლუის ნიშა ჩვენი.

მადლი შენს პატრონს, ბუღიტავ,
რა კარგი ხარი ჩანხარ!
ხვალ კოლექტივის უღლითა
შენც სამუშაოდ გახვალ.

ეზოც გაცოცხლდა, წელს ითბობს
ჭრელი, დელფანა ძროხა,
და ცხვარიც აგერ ჩვენს მიხოს
ბოსლიდან გარეთ მოჰყავს.

ზამთრის ქარ-სუსხის ამტანი,
ხბო კუნტრუშობს და ბღავის.
ბაღში გაშლილი ატამი
მოვარდისფეროდ ყვავის.

ამ თაიგულებს რა დაშლის,
მწერების პატივმცემლებს,
გზის და ეზოს პირს გადაშლილ
თეთრად გაფეთქილ ტყემლებს?!

აჩქეფდა სისხლი სოფელის
და შრომაც ამას ჰქვია:
შეხეთ ხალხს, კორდზე მოფენილს,
შავ ყამირს როგორ შლიან!

მკლავი მკლავს შესჯიბრებია,
გულს კი სიმტკიცე აზის,
შვილივით შეჰყვარებია
აქ კოლმეურნეს ვაზი.

ამ მტკიცე რწმენას რა დაშლის
„შენ-ჩემის“ უარმყოფელს,
სოფელს გორაკზე გადაშლილს,
ჩვენს კოლმეურნე სოფელს!

კლდეზე ჩანჩქერი ჩქრიალებს,
ფოთლები შხეფებს სვამენ,
ხანდახან შეიშრიალებს
ტყე, შეფოთლილი მწვანედ.

კლიმ. თევზაძე

გამოცანა

ერთმა მებაღემ ვაჟიშვილის დაბადების დღის აღსანიშნავად ბაღის ერთ კუთხეში შეარჩია ადგილი და ჩარგო ნორჩი ნუშის ხე. ამ დღიდან დაწყებული მამა-მებაღე ერთადერთი შვილის დაბადების დღეს ყოველთვის რგავდა იმ მწკრივში, სადაც ნუში ჩარგო პირველად, ხან ატამს, ხან ქლიავს და სხვა.

გავიდა დრო. მებაღე ძალზე დაბერდა, მუშაობა აღარ შეეძლო, მოიხმო თავისი ერთადერთი შვილი და ანდერძად დაუტოვა: შენი

დაბადების დღეს იმ დაწყებულ მწკრივში განაგრძე სხვადასხვა ხეხილს რგვაო.

მოკვდა მამა-მებაღე, და შვილმაც პირნათნად განაგრძო მამის დანაბარების ასრულება: თავის დაბადების დღეს რგავდა სხვადასხვა ხეხილს მამისაგან დატოვებულ მწკრივში.

დრო მიდიოდა. ცხოვრება იცვლებოდა, ხდებოდა რევოლუციები. ბოლოს საბჭოთა ხელისუფლებაც დაფუძნდა. მებაღის შვილმა ეს ბაღი კოლექტივის საკუთრებად გამოაცხადა, მაგრამ თავის დაბადების დღეს იმ მწკრივში ხეების რგვას მაინც განაგრძობდა. როცა უკანასკნელი ნერგი ჩარგო მწკრივში, მებაღის შვილი უკვე ოთხმოცი წლის იყო.

ოთხმოცი წლის მოხუცმა მებაღის შვილმა დაითვალა თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად დარგული ხეები და წარმოიდგინეთ მისი გაოცება: მხოლოდ ოცი ძირი ხე აღმოჩნდა მწკრივში (ხეები არც არვის მოუჭრია და არც მოუთხრია).

— რაშია საქმე, ოთხმოცი წლის მოხუცი ოცი წლისა ვარ თითქო, — ეკითხებოდა თავის თავს მებაღის შვილი.

მართლაც და რაშია საქმე?

სანდრო ეული

სანდრო ეული (ქურიძე) დაიბადა 1890 წლის 23 ოქტომბერს ოზურგეთის მაზრაში, სოფელ ზომლეთში. ღარიბი გლეხიკაცის შვილი, მამის სიკვდილის შემდეგ სანდრო აუტანელ ნივთიერ მდგომარეობაში ჩავარდა. ერთხანს იგი მეწაღეობას სწავლობდა.

სწავლაში სანდრო დიდ მუყაითობას იჩენდა.

ს. ეული საქართველოში პროლეტარული პოეზიის პიონერია. ლიტერატურულ მუშაობასთან ერთად ს. ეული იყო და არის ლენინური პარტიის ენთუზიასტი. ის განიცდიდა დევნას როგორც თვითმპყრობელობის, ისე მენშევიკური ხელისუფლების მიერ.

ს. ეული ითვლებოდა მრავალ ჟურნალ-გაზეთის რედაქტორად. მას ოცამდის სხვადასხვა სახელწოდების წიგნი აქვს გამოცემული. ის ს. თოდრიასთან ერთად სატირული ჟურნალის „ნიანგი"-ს დამაარსებელი და რედაქტორია.

ამხ. ეულის წიგნები იბეჭდება სომხურ, რუსულ და თურქულ ენებზე.

საქართველოს პროლეტარული საზოგადოებრივობა ნაყოფიერად თვლის ამხ. სანდროს მოღვაწეობას და მას 25 წლის ლიტერატურული და რევოლუციური მოღვაწეობის იუბილეს უხდის.

ლ. ჭიჭინაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირ. აბაშიძის საღამო

ტფილისის ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის დარბაზში ნორჩ მკითხველთა არაჩვეულებრივი ფუსფუსია.

ხუთი საათია.

მათი გულები გამალებით ძგერს. ბავშვები ხშირად ერთმანეთს ეკითხებიან:

— მოვიდა?!

— ნეტავ თუ მართლა მოვა?!

— ვინ იცის, იქნება პატარებთან მოსვლას არც კი კადრულობს...

ასეთი კითხვები ისმოდა იმ დარბაზში, რომელიც მართლაც რომ საზეიმოდ იყო მორთული. თუმცა მათი სამეცადინო დარბაზი მუდამ ასეა მორთული. შედიხარ შიგ და გულისკარი გაგეხსნება, როცა შეხედავ სისუფთავეს, სიფაქიზეს და წიგნებით სავსე თაროებს.

— მოვიდა...

— მოვიდა...

გაისმა რამდენიმე ალაგას ბავშვების დაბალი ხმა.

— რომელია? — კითხულობს ვილაც.

— ყველაზე მაღალი კაცი, — იყო პასუხი.

მოუთმენლობით გამოწვეული ლაპარაკი დასრულდა და თავიანთ საქმეს შეუდგენ. ზარმა დაიწკრიალა, და დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. კრება 13 წლის პატარა ბიჭმა გახსნა, თავმჯდომარეობაში კარგად გამოცდილ კაცივით.

ახალგაზრდა მწერლები კითხულობენ ერთმანეთს შორის პატარა თავმჯდომარის გვარს. ბოლოს მათ გაიგეს, რომ ის იყო მე-14 შრომის სკოლის მოწაფე დათიკო მელუხა.

მილუხამ დაასახელა პრეზიდიუმის შემადგენლობა.

მათ თავიანთი ადგილები დაიკავეს.

მისასალმებელი სიტყვა მიეცა გაგუა მელბარს, მე-5 შრ. სკ. მე-3 ჯგუფის მოწაფეს.

მწერალი ირაკლი აბაშიძე კმაყოფილებით ათვალიერებდა ნორჩი მკითხველებით გავსილ დარბაზს, საწიგნე თაროებს, სადაც ამხ. ირაკლის წიგნები იყო გამოფენილი და აგრეთვე მრავალი ჟურნალი, რომლებშიაც მისი ლექსები და მოთხრობებია დაბეჭდილი. ირ. აბაშიძის დინჯად და დაკვირვებულის კილოთი მიმართა გაგუა მელბარმა.

— ძალიან გვინდა, ძია ირაკლი, თქვენთან დაახლოება და კარგს იზამთ, რომ ჩვენთან ხშირად მოხვიდოდეთ.

ამის შემდეგ მოხსენებით გამოდის ბ. ქავჟარაძე (I საკ.-საჩ. სკოლის მოწ.). ის ხელოვნურად მომზადებულ ტრიბუნაზე მკვირცხლად ახტა და მშვიდად გადაალვო თვალი ჯერ ნორჩი მკითხველებით გაჭედილ დარბაზს და მერე იმ ახალგაზრდა მწერლების ჯგუფს, რომლებიც ი. აბაშიძესთან ერთად იყვნენ და აღტაცებაში მოდიოდენ იმ ინტერესის გამო, რომელსაც ბავშვები იჩენდენ.

ბ. ქავჟარაძე აღნიშნავს, რომ ი. აბაშიძის წიგნში „აი რა მოგითხროთ“ კარგი მოთხრობებია, მაგრამ არის ისეთი მოთხრობებიც, რომლებიც არ არის კარგად გამართული იდეოლოგიურად. მაგალითად: ბობოლა გლეხისა და მოჯამაგირე კოლას ამბავი („გაება“) დაუჯე-

რებელია. არ ჩანს, რომელ დროზეა აქ ლაპარაკი. კოლა ვერ ამჩნევს, რომ მას იქვე ახლოს აქვს კოლექტივი, კოლა ოცნებობს საკუთარი მეურნეობის მოწყობაზე, ჩვენი აზრით კი კოლას მიზანი ეს არ უნდა იყოს, — ამბობს ბ. ქავჟარაძე.

ირ. აბაშიძე ბავშვის ჭკვიანურ ლაპარაკს სიამოვნებით უგდებდა ყურს.

ქავჟარაძის შემდეგ გამოვიდენ სხვა ნორჩი კრიტიკოსებიც, რომლებიც მწერალს სთხოვდენ:

— თქვენს ნაწერებში ყველგან ვაჟები არიან ასახული და კარგი იქნება, რომ ქალებსაც მოგვაქცევდეთ ყურადღებას. ნორჩმა კრიტიკოსებმა ი. აბაშიძეს თავის შემოქმედებაში კარგი ნიშანი დაუსვეს.

ბოლოს მოწაფეთა მიერ წაკითხულ იქნა ირ. აბაშიძის ლექსები.

საღამოს დახურვის წინ თვით ი. აბაშიძემ ილაპარაკა და დაპირდა მათ, რომ ეცდება, რომ ნაყოფიერად იმუშავებს ნორჩი თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის.

ასეთი საღამოების გამართვას ცენტრალურ საბავშვო ბიბლიოთეკაში სისტემატური ხასიათი მიეცა.

საბავშვო მწერლების ამგვარი შემოქმედებითი საღამოების მოწყობა რაიონებშიც საინტერესოა. ამნაირი მუშაობა რაიონებში შეიძლება შესრულებულ იქნას ბ. კ. ო. რაიბიუროებისა და მასწავლებელთა ენერგიული ხელმძღვანელობით. ჩვენი ჟურნალი და გაზეთი „ნორჩი ლენინელი“ ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ამ საქმეს საღამოების შედეგების დაბეჭდვის მხრივ.

ლ. ხვიჩია

პატარა მასწავლებელი

I

სასწავლო წლის უკანასკნელი დღეებია. მალე მოწაფეებს საზაფხულოდ დაითხოვენ და მათი გულებიც სიხარულისაგან უცნაურად ტოკავენ. პაწია ვასოც დიდ სიხარულშია. ჯგუფში მასწავლებელმა თქვა: დათხოვნის წინადღეს ნიშნებს დაგირიგებთო. აკი მამამაც უთხრა: თუ კარგ ნიშნებს მოიტან, ამ ზაფხულში აგარაკზე გაგაგზავნიო, და ამიტომ ვახლოც მხიარულია, ის იმედით სავსე ელოდება იმ დღეს, როდესაც მასწავლებელი ნიშნებს გამოაცხადებს.

ვასოს ჯგუფში სოცშეჯიბრება და დამკვრელობაც ფართოდაა გაშლილი. ვასო შეჯიბრებაშია ჩაბმული, რომლის შედეგებიც ნიშნებთან ერთად გამოცხადდება.

ხუმრობა ხომ არ არის, ვასო პატარა მასწავლებელია! როდესაც მან თავი დამკვრელად გამოაცხადა და შეჯიბრებაში ჩაება, მას ორი მოწაფე ჩაბარეს გამოსასწორებლად, მიხა და ოთარი. ისინიც იმავე ქუჩაზე ცხოვრობენ, სადაც ვასო ცხოვრობს. ვასო დადიოდა თავის მოწაფეებთან და უხსნიდა გაუგებარ საგნებს. მიხაც და ოთარიც ნიჭიერი ბავშვები გამოდგენ. მაგრამ ზარმაცობას იყვნენ მიჩვეული, გაკვეთილებს არ სწავლობდენ. ვასომ ისინი ამ ცუდ ზნეს გადაჩვია და ახლა კარგ მოწაფეებად ითვლებიან.

II

გათენდა ის დღეც, რომელსაც ვასო და სხვა მრავალი მოწაფე გულის კანკალით ელოდებოდენ.

ვასო დილას 6 საათზე წამოხტა, ხელპირი დაიბანა, მაგიდას მიუჯდა და ისაუზმა. თითქოს ვასოს ჟინაზე, დრო ჭიანურდება. საათის ისრები ძლივს დაბობღავენ. ვასო შინ ვერ ისვენებს მან ადრე დაუცადა დანიშნულ დროს და სკოლისაკენ გაიქცა. სკოლის ეზოში მოწაფეების ჟივილ-ყიჟინი ისმოდა. ვასოც ზარის დარეკამდის ამ ფერხულში ჩაება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი მოწაფე თამაშში მონაწილეობას არ ღებულობდა. მათი სახის ნაკვთები დაღვრემილა. ისინი მთელი სასწავლო წელი ზარმაცობდენ, ახლა კი წინდაწინ გრძნობენ უბედურებას. მოსწავლეების უმეტესობა კი მხიარულობს და აღელვებით ელოდება ზარის ხმას. აი, გაისმა კიდეც ზარის წკარუნი, რომელიც გაზაფხულის თბილ ჰაერში სასიამოდ გავრცელდა. მოწაფეებს მოუწოდებენ კრებაზე. ამ პატარა ზარის წკრიალმა წუთით შეაჩერა ბავშვები, მაგრამ მალე ისევ ამოძრავდენ და ჟრიამულითვე გასწიეს დიდი დარბაზისაკენ. ვასომ ოთარი და მიხა მოიხმო და ჩურჩულით გადაულაპარაკა:

— აბა თქვენ იცით, არ შემარცხვინოთ.

— იმედი გქონდეს, — უპასუხეს ოთარმა და მიხამ და ბაასით გასწიეს დარბაზისაკენ.

III

საზეიმოდ მორთული დარბაზი მოწაფეებით გაივსო. ამოირჩიეს თავმჯდომარე და მდივანი. პირველად გამგემ დაიწყო სიტყვა. დარბაზი სიჩუმემ დაისადგურა. დაიჭიმა ყურადღება, დაიჭიმა აფორიაქებული ძარღვები. ყველა თვალებში შესცქერის გამგეს. თითოეულმა მისმა სიტყვამ, თითოეულმა დარიგებამ მოწაფეების ყურადღება დაიპყრო. სკოლის გამგემ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ კულტურულად უნდა გაატარონ ზაფხული, მისცა მათ სათანადო დავალება. გამგემ სიტყვა დაასრულა. აქუხდა ტაში. როდესაც ტაშის ხმა მიწყნარდა, მასწავლებელმა ქეთევან რჩეულიშვილმა დაიწყო:

— ბავშვებო, ჩვენი სკოლა კონკურსში არის ჩაბმული. კონკურსში ჩაბმისას ჩვენ განათლების სახალხო კომისარიატიდან მივიღეთ დირექტივები. ჩვენ ფართედ ჩავებით სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში. ამ შეჯიბრებამ დიდი შედეგი გამოიღო მოზარდი თაობის სოციალისტურად აღზრდაში. მოწაფის გონება დაპყრობილია მხოლოდ იმით, რომ თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი რაც შეიძლება კარგად შეასრულოს და განამტკიცოს. დღეს ნიშნებთან ერთად გამოგიცხადებთ სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის შედეგებს.



აგრეთვე საუკეთესო დამკვრელ მოწაფეებსაც დავაჯილდოვებთ.

მასწავლებელმა ჟურნალი ხელში აიღო და დაიწყო ნიშნების კითხვა. ყველა სმენად იქცა.

— ვასილ ბეჯითაძე, მიხა გიაური და ოთარ გიგიტაშვილი, — გაისმა მასწავლებლის ხმა.

პატარა მასწავლებელი ვასო და მისი მოწაფეები მიხა და ოთარი ადგილიდან წამოდგენ და სცენისკენ გაემართნენ.

მასწავლებელმა ვასოს ხელი მხარზე დაჰკრა და მოწაფეებს მიმართა:

— ბავშვებო! ვასო ბეჯითაძე წელს ამთავრებს ოთხწლედს. ყველა საგანში ფრიადები აქვს. ვასო ჩვენი სკოლის სიამაყეა. მან ბუქსირზე აიყვანა მიხა და ოთარი, ამიტომ მის მაგალითს უნდა მიბაძონ ყველა მოწაფეებმა. კარგი მოწაფე მასწავლებელსაც უყვარს.

ვასო ათი წიგნით დაასაჩუქრეს, აგრეთვე გადაწყვიტეს მისი პიონერთა ბანაკში გაგზავნა.

ვასოს სიხარულისაგან გული აუფანცქალდა და სახეზე წითელმა ფერმა გადაჰკრა.

აღტაცებული დარბაზი სიყვარულით შესცქეროდა ვასოს, მიხას და ოთარის. გაისმა ტაში, რომელიც თავმჯდომარის ზარის წკარუნმა ძლივს გააჩუმა. დარბაზი დაწყნარდა. მასწავლებელმა განაგრძო.

— სამი მოწაფის გამონაკლისით ყველა გადასული ხართ შემდეგ ჯგუფში. ეს სამი მოწაფეები ვინც არიან, თვითონვე მიხვდებიან.

გივიმ, გაიოზმა და ნიკომ თავები დაბლა დაწიეს. ყველა მათ მისჩერებოდა.

კრება დახურულად გამოაცხადეს. დარბაზი სწრაფად დაიცალა. მოწაფეები გახარებული მიდიოდენ შინისაკენ. სკოლის ალაყაფის კარებთან ვასომ მიხასა და ოთარს გადასძახა:

— მადლობელი ვარ, რომ იმედი გამიმართლეთ.

— ჩვენც დიდი მადლობელები ვართ.

ასე დაშორდენ ისინი ერთმანეთს. ვასო ისე მირბოდა, რომ ადამიანს ეგონებოდა მიფრინავსო. მისი თვალები ნათლად გამოხატავდა ვასოს შინაგან მხიარულებას.

პ. თამარიშვილი

ს ა მ ა ი ს ო

ყინვა დასუსტდა, სიცივემ
მძაფრი კლანჭები გახარა,
კუდმაკრატელა მერცხალმა
გამოღვიძება გვახარა.
მხურვალე სხივთა წინაშე
ბუნებამ თმები აშალა
და ახლად ნაფეთქ ყლორტებზე
მწვანე ხალიჩა გაშალა.
ნისლით მოცული მიდამო
გააპო სხივთა ლახვარმა,
ქუჩები გამოაფხიზლა
ხალხის ხმიანმა ნაღვარმა.
დროშების ზღვაში ჩაიხრჩო
ხალხთა ურიცხვი დინება,
მუშებთან ერთად ბუნებამ
სიმხიარულე ინება.

მერცხალთ ჭიკჭიკი დაახშო
ფოლადის მძაფრმა გუგუნმა,
ფირუზის სივრცე დასერა
რკინების ფრინველთ ზუზუნმა.
წითლად აღელდა ტფილისი.
წითლად აღვივდენ ქუჩები,
ყაყაჩოსავით აენთნენ
ღიმილით სავსე ტუჩები,
ხალხი მოღელავს ზღვასავით
წითელ დროშების ფრიალით,
მედგრად მოდიან მწკრივები
გამარჯვებულთა გრიალით.
ყინვა დასუსტდა, სიცივემ,
მძაფრი კლანჭები გახარა,
კუდმაკრატელა მერცხალმა
გამოღვიძება გვახარა.

გასართობი შედ. **ნ. ნაკაშიძის მიერ.**

ასოთამწყობი

აი როგორი თამაშობა გამოვიგონეთ ჩვენ რგოლში კლუბისათვის. ამ თამაშობას „ასოთამწყობი“ ჰქვია.

ავიღოთ რომელიმე მრავალასოიანი სიტყვა, რომელშიაც აუცილებლად რამდენიმე სხვადასხვა ხმოვანი ასო უნდა ერიოს. მაგალითად, ჩვენ ავიღეთ სიტყვა „კინემატოგრაფი“. ყველამ დაიწერა ეს სიტყვა თავისთვის ქაღალდზე. ერთმა პიონერმა, რომელმაც ჯერ ეს თამაში შეისწავლა, ხელმძღვანელობა იკისრა. მან მოგვცა წინადადება — იმ ასოებისაგან, რომლისაგანაც შედგებოდა სიტყვა კინემატოგრაფი, შეგვედგინა ახალი სიტყვები.

მან გვითხრა: — თამაშობაში უნდა დაიცვათ შემდეგი წესები:

1. არ უნდა დაიწეროს საკუთარი სახელები, მაგალითად: ფოტინე, რიონი, რომი და სხვა.

2. უნდა დაიწეროს არსებითი სახელები (სახელობითი ბრუნვა) მხოლობით რიცხვში.

3. ყოველი ახალი სიტყვისათვის შეგიძლიათ იხმაროთ ყველა ასო, რომელიც შედის აღებული სიტყვის მნიშვნელობაში, მაგრამ მხოლოდ იმდენჯერ, რამდენჯერაც აღებულ სიტყვაშია ნახმარი. სიტყვაში „კინემატოგრა-

ფი“, მაგალითად, არის ორი „ა“, ამიტომ შეძლება დაიწეროს: ტარა, ფარაონი, მაგარი.

სიტყვების შესადგენად გეძლევათ 5 წუთი, როდესაც დანიშნული დრო გავა, ყველამ დათვალოს, რამდენი სიტყვა შეადგინა. ვისაც მეტი სიტყვა აღმოაჩნდება, პირველი კითხულობს თავის სიტყვებს ხმამაღლა. თუ რომელიმე სიტყვა ერთი და იგივე აღმოჩნდება სხვა მოთამაშეებსაც, ის სიტყვა უნდა ამოიშალოს როგორც მკითხველის, ისე სხვების სიტყვებიდან. შემდეგ კითხულობს ის, რომელსაც შემდეგ მეტი სიტყვა აქვს. ერთნაირი სიტყვებიც, როგორც პირველად, აქაც უნდა წაიშალოს.

ბოლოს, როდესაც ყველა წაიკითხავს და ერთნაირ სიტყვებს წაშლიან, უნდა დაითვალოს, რამდენი ორიგინალური სიტყვა დარჩა.

როდესაც ჩვენ რგოლში ჩავატარეთ ეს თამაშობა, აი რამდენი სიტყვა შეადგინეთ სიტყვა „კინემატოგრაფი“-საგან:

ტომარა	ტარი
გიტარა	ფარაონი
ფარი	ფარა
რომანი	რიტმი
კანაფი	ატამი
კირი	მაგარი
კინტო	მარტო
კიტრი	კარი

ენა
კარავი
კანი
ტორი
ნოტა
ატომი
ფონი
ტონა.

ილ. გოგია.

რებუსი

№ 1

№ 2



სარედაქციო კოლეგია: ა. გველესიანი, აკ. რეხვიაშვილი (პ/მ. რედაქტორი), ა. ჭანკიევი, ლავრ. ჭიჭინაძე (პ/მ. მდივანი), შ. თაგუაშვილი, შ. სიხარულიძე, ბორის ჩხეიძე და მ. თომაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 75 კაპ.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური
ბიუროს და განათლების სახალხო კო-
მისარიატის ყურნალი გამოშვებათვის

პიონერი

წელიწადი IX

წელიწადი IX

გამოდის თვეში ერთხელ

ყოველმა პიონერმა უნდა გამოიწეროს

ყურნალი

პიონერი

ყურნალ „პიონერი“-ს 1934 წლის ყველა ნომერში დაიბეჭდება საინტერესო მოთხრობები, ლექსები და პიესები • • • • • • • • • •

ყურ. „პ ი ო ნ ე რ ი“-ს რედაქცია.